№ 42.

# ივერია

წელიწადი პირველი

15 დეკემბ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი ივერია გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.**

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა—პლევნის დაპყრობის გამო—საფრანგეთი—ინგლისი—ოსმალეთი.—III ომის ამბები.—IV. მუშა-ხალხის მოძრაობა დასავლეთ ევროპაში და მისგამო ფიქრი ჩვენს ხალხზედ.—V. გლეხური ლექსები.—VI. იაგუნდი მარი სტუარტისა (მოთხრობა)—VII განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

სახელმწიფო ქონებათა გამგეობას მრავალი თავისუფალი სახელმწიფო მამულები აქვს ხელში და ამ მამულებს იჯარით აძლევს ხოლმე გძელის თუ მოკლეს ხნობით. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ძნელად თუ სადმე შეხვდება ხოლმე ეგ იჯარა გლეხკაცს, რომელიც უმამულობით გაჭირებულია და რომელსაც უფრო კარგად შეუძლიან თვითონაც ისარგებლოს და სახელმწიფოსაც უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ორში ერთი ან გლეხ-კაცის დაუდევნელობა, ან თვით იჯარის ურიგოდ მოწყობა. ცოდვაა კაცმა ამ გვარ საქმეში დაუდევნელობა შეჰსწამოს ჩვენს გლეხ-კაცსა. იგი ბევრშია დაუდევნელი, მაგრამ მამულის ხელში ჩაგდებაში კი არამც თუ დაუდევნელია, არამედ თავგანწირულიც არის. ეს ჩვენს გლეხ-კაცს არა ერთხელ დაუმტკიცებია. ჩვენა გვგონია, რომ აქ მიზეზი იჯარის ურიგოდ მოწყობა უნდა იყოს.

ამ ურიგობის ბრალია, რომ სადაც კი კაი სარგოიანი მამულია სახელმწიფო, სადაც რამ გამოსაყენებელია, იქ ყოველგან მოიჯარადრეთ ან გაჭარია, ან მოქალაქე ვინმე და არა სოფლის კაცი, მხვნელი და მთესველი, ერთის სიტყვით, პირ-და-პირი მიწის-მოქმედი. ნუ თუ ამათ ხელს არ აძლევთ იჯარით მამულის აღება? როგორ არ აძლევთ, მაგრამ საწყლებს ვინ აღირსებს. რატომაო, იკითხავს მკითხველი. ამაზედ ერთი ღირს-სარწმუნო კაცი აი რასა გვწერს ჩვენ: „ჩემთან მოვიდნენ რამდენიმე სოფლელნი გლეხნი და მითხრეს: ბატონო, აი სახელმწიფო მიწები მიუციათ სომეხ-ვაჭრისათვის იჯარითა, ჩვენ კი ვიღუპებით უმამულოდ, ჩვენზედ უფრო უპრიანია; მოგვიხერხე, შენი ჭირიმე, რომ ის მიწები ჩვენ დაგვრჩეს და რაც იჯარაა ჩვენ მივცემთ. ბიჭო და რატომ „ტორგში“ არ შეხვედით? — არ ვიცოდით, შენი ჭირიმე, როდის იყო „ტორგი.“ და მარტო ეხლა გვეგეთ, რომ ქალაქის ვაჭრებისათვის მიუციათ. მე წავედი სამმართველოში, საქმე გავსინჯე და ვნახე მოხსენება პრისტავისა, რომ „ვითომც პუბლიკაცია მოვახდინეო ჩემს საპრისტაოში და არა ვინ მსურველი არ გამოჩნდაო ასაღებათ საიჯარო მამულისაო.“ მოდი და ამის შემდეგ იკითხე,

ღვთის წყალობა გლეხს ღვთის რისხვათ რად გადაექცევა ხოლმე ხანდისხან?

დიაღ, ბატონებო, ხალხს არ ატყობინებენ, როცა იჯარით გაცემის დღე მოდის. ამის გამო ორჭირი ზარალია: ერთი ის, რომ შეუტყობლობის გამო მამული ჩალის ფასად არ გადის, ტყუილ უბრალო ფასად უცვივდება ხელში ყოველთვის მოხერხებულ ვაჭრებს და სახელმწიფოსაც სადა მანეთი უნდა შემოუვიდეს, შაური მოჭნდის; მეორე ის, რომ გლეხის დალოცვილს მარჯვენას გზა არ ეხსნება სამუშაოდ, რომ თვითონაც ირგოს და სხვასაც არგოს. განა ძნელია, რომ ამ უწესობას ბოლო მოეღოს? ნუ თუ შეუძლებელია საქმე ისე მოეწყოს, რომ იჯარით მამულის გაცემის ამბავმა თავის დროზედ მიაღწიოს გლეხის ყურამდე და ამით თვით ხაზინამაც ირგოს და გაჭირებულს გლეხ-კაცსაც არგუნოს რამე? ნუ თუ ძნელია, რომ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ქართულს ენაზედ განცხადება გაუგზავნოს ხოლმე მამასახლისს იმ საზოგადოებისას, სადაც საჯარო მამულია, და სასტიკი ბძანება მისცეს, რომ თუნდა გზირი დაატაროს თვითვეულ მეკომურთა შორის გამოსაცხადებლად, აი ესა და ეს მამული იჯარით უნდა გაიცეს და ამა და ამ დღეს ამისი ტორგი იქმნება ამა და ამ ადგილას. ნუ თუ ეს საქმე იმოდენად სასარგებლო არ არის, რომ მის გულისათვის ეს მცირედი შრომა გასწიოს კაცმა! ნათქვამია, თუ გული გულობს მჭადიც ორის ხელით იჭმევაო.

— ჩვენ ხელში ჩავვივარდა ღირს-სარწმუნო ცნობანი მასზედ თუ ტფილისის თავად-აზნაურობას რამოდენა ვალი აქვს აღებული პრიკაზიდამ განსაკუთრებით სოფლის მამულებზედ, რამოდენად ბეჯითი ყოფილან ვალის გადახდაზედ და თვით ვალს როგორ უწარმოვნია პრიკაზის გამართვის დღიდამ 1877 წლის პირველს ნოემბრამდე, ესე იგი, რამდენი ყოფილა თავდაპირველ და რამდენი დარჩენილა 1877 წლის პირველ ნოემბრამდე.

რაც პრიკაზი გამართულა (ოც-და-ათ წელიწადზედ მეტია), მას დღეს აქედ 1877 წლის პირველ ნოემბრამდე პრიკაზიდამ ვალი გამოუტანიათ განსაკუთრებით სოფლის მამულებზედ ტფილისის ხუთივე მაზრის თავად-აზნაურთა შორის სულ—314 კაცს. თავდაპირველი ვალი ამათი ყოფილა სულ 1,841,193 მ.

ეს მოვალენი ვალის გადახდის ბეჯითობის კვალობაზედ განიყოფებიან სამ ნაწილად: 1) იმისთანანი, რომელთაც პრიკაზში შესატანი ფული თავის დროზედ უძლევიათ, 2) იმისთანანი, რომელთაც თუმცა დრო გადუცილებიათ და ამის გამო ჯარიმაც დაჰხდებიათ, მაგრამ მამული გასყიდვამდე არ მიუყვანიათ და 3) იმისთანანი, რომელთაც მამული გასყიდვამდე მიუყვანიათ.

სადაც ამ საგანზედ ლაპარაკი შეგხვდება ამ წერილში, ჩვენ სიმოკლისათვის მოვიხსენებთ ყველა მოვალეებს ან პირველ ნაწილობით, ან მეორე ნაწილობით და ან მესამე ნაწილობით და მკითხველს ვჰსთხოვთ იგულისხმოს ზემოხსენებული საბუთი განყოფილებისა.

### I გორის მაზრა.

გორის მაზრის თავად-აზნაურთა შორის პრიკაზიდამ ვალი აუღიათ სულ—106 კაცს.

მათ შორის:

პირველის ნაწილის მოვალენი — — — 12 კაცია.
მეორის ნაწილისა — — — — — — 33 —
და მესამე ნაწილისა — — — — — 61 —
მთელი ამათი თავდაპირველი ვალი ყოფილა 542,343 მ.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — — 39,300
მეორის ნაწილისა — — — — — 190,620
მესამე ნაწილისა — — — — — — 312,423 მ.
გირაოდ ჰყოლიათ მიცემული 1,550 კომლი კაცი.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — 107 კომლი.
მეორეს ნაწილისა— — — — 627 —
მესამეს ნაწილისა— — — — 820 —

1 ნოემბერს 1877 წელს ამათი თავდაპირველი ვალი თავისის ჯარიმით გამხდარა— — — 566,855.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — 31,246 მ. 24 კ.
მეორის ნაწილისა — — — — 165,618—46
მესამე ნაწილისა — — — — — 369,990—98

### II დუშეთის მაზრა.

დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა შორის პრიკაზიდამ ვალი აუღიათ სულ — — — — 18 კაცს.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — — — 2 კაცია.

მეორის ნაწილისა — — — — — — 8 კაცია.

მესამე ნაწილისა — — — — — — — 8 კაცია.

მთელი ამათი თავდაპირველი ვალი ყოფილა 36,900 მ.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა— — — — — — 4,450—

მეორის ნაწილისა — — — — — — 21,000—

მესამე ნაწილისა — — — — — — 11,450—

გირაოდ ჰყოლიათ მიცემული— — — 158 კომლი.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — — 19 კომლი

მეორის ნაწილისა — — — — — — 102 —

მესამე ნაწილისა — — — — — — 37 —

1-ს ნოემბერს 1877 წ. თავდაპირველი ვალი თავისის ჯარიმით გამხდარა — — — 31,334 მ. 35 კ.

პირველის ნაწილისა — — — — — 3,641—41

მეორეს ნაწილისა — — — — — 15,358—94

მესამე ნაწილისა — — — — — — 12,334—31

III ტფილისის მაზრა.

ამ მაზრის თავად-აზნაურთა შორის პრიკაზიდამ ვალი აუღიათ — — — — — — — 27 კაცს

პირველის ნაწილისა — — — — — — 7 კაცია

მეორისა — — — — — — — — — 7 კაცია

მესამისა — — — — — — — — — 13 კაცია

მთელი ამათი თავდაპირველი ვალი ყოფილა 374,400 მ.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — — 135,900

მეორისა — — — — — — — — 62,700

მესამისა — — — — — — — — 175,800

გირაოდ ჰყოლიათ მიცემული — — 945 კომლი

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — — 250 კომლი

მეორისა— — — — — — — — 152 —

მესამისა— — — — — — — — 533 —

1-ს ნოემბერს 1877 წ. თავდაპირველი ვალი თავისის ჯარიმით გამხდარა — — 358,972 მ. და 73 კ.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — 115,737—97

მეორის ნაწილისა — — — — — 37,535—69

მესამე ნაწილისა — — — — — 205,699— 7

IV სიღნაღის მაზრა.

ამ მაზრის თავად-აზნაურთა შორის პრიკაზიდამ ვალი აუღიათ სულ — — — — — — 79 კაცს.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — — — 7 კაცია

მეორისა — — — — — — — — — 9 კაცია

მესამის — — — — — — — — — 63 კაცია

მთელი ამათი თავდაპირველი ვალი ყოფილა 443,830.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — 47,800

მეორისა — — — — — — — 82,500

მესამისა — — — — — — — 313,530

გირაოდ ჰყოლიათ მიცემული — 997 კომლი.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — 135 კომლი.

მეორისა — — — — — — — 151 კომლი.

მესამისა — — — — — — — 711 კომლი.

1-ს ნოემბერს 1877 წ. ამათი თავდაპირველი ვალი თავისის ჯარიმით გამხდარა — 478,001—79

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — 37,624—75

მეორის ნაწილისა — — — — — 71,566—85

მესამე ნაწილისა — — — — — 369,610—19

V თელავის მაზრა.

ამ მაზრის თავად-აზნაურთა შორის პრიკაზიდამ ვალი აუღიათ სულ — — — — — — 84 კაცს.

მათ შორის:

პირველის ნაწილისა— — — — — — 7 კაცია.

მეორისა — — — — — — — — 18 —

მესამისა— — — — — — — — — 59 —

მთელი ამათი თავდაპირველი ვალი ყოფილა 423,720

მათ შორის:

პირველის ნაწილისა — — — — 22,600

მეორისა — — — — — — — 73,150

მესამისა — — — — — — — 327,970

გირაოდ ჰყოლიათ მიცემული — 924 კომლი.

1-ს ნოემბერს 1877 წ. ამათი თავდაპირველი ვალი თავისის ჯარიმით გამხდარა— — 462,445—76

მათ შორის:

| | |
|---|---|
| პირველის ნაწილისა — — — — | 14,606—91 |
| მეორის ნაწილისა — — — — — | 62.828—35 |
| მესამისა — — — — — — — | 384 956—50 |

ამ სახით გამოდის, რომ ბეჯითად ვალის მხდელი 314 კაცში მარტო 35 კაცი ყოფილა, გაჭირებით მხდელი 75 და სულ არ მხდელი 204 კაცი.

რას უნდა მივაწეროთ ეს შემთხვევა: ჩვენს დაუდევნელობას, მამულის წინ დაუხედავად და უთავბოლოდ მიღებას ვალში გირაოდ, თუ სხვა რაიმე გარეშე მიზეზს. ჩვენ გაბედვით უარ ვყოფთ პირველს მიზეზს, თუმცა ქართველი კაცი დაუდევნელობაში გათქმულია და ყოველს ამას ვაბრალებთ ორს უკანასკნელს მიზეზსა. რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ეგ დაუდევნელობით არ მოსვლია, ამის საბუთად ცოტად თუ ბევრად გამოდგება შემდეგი: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკიდამ სოფლის მამულებზედ ვალი გაუტანიათ 1-ს იანვრამდე 1877 წ. ოთხმოცდა შვიდმეტს კაცს. ამ ოთხმოცდა შვიდმეტ კაცში ბანკის დაარსების დღიდამ 1877 წ. 1-ს იანვრამდე მარტო ორმა მიიყვანა საქმე მამულის გასყიდვამდე. ამ ანგარიშით რომ პრიკაზის საქმეს ევლო, 314 კაცში მარტო შვიდ კაცამდე უნდა ყოფილიყო იმისთანა, რომელსაც ვალი სულ არ უხდია, მაშინ როდესაც ნამდვილად 204 კაცია 314 კაცში, ესე იგი, ორი მთელი მესამედი და ცოტა მეტიც, ანუ ასზედ ოც-და-თვრამეტი კაცი; თავად-აზნაურობის ბანკს კი მოსდის ორზედ მეტი ასზედ საგუთრად. რა მიზეზია, რომ პრიკაზში ასე იქცევოდნენ მოვალეები, ამაზედ დაწვრილებით შემდეგ მოვილაპარაკებთ.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

— პლევნის დაპყრობამ რუსთა მიერ ჯერ კიდევ შიგნეული მარღვები არ დაუჭიმა ევროპიის პოლიტიკას. ჯერ კიდევ კანტი-კუნტად ლაპარაკობენ მასზედ რაც უნდა იქმნას ხვალინდელს დღეს. ესეც თუ ლაპარაკობენ, პოლიტიკის გარეშე კაცნი ლაპარაკობენ და ისინი კი ვის ხელშიაც არის პოლიტიკის მიმართულება, ისინი ჯერ კიდევ მალვენ თავის დაფარულს და გულითადს აზრსა და წადილსა. პლევნის დაპყრობამ ის საქმე კი ჰქმნა, რომ მორიგებაზედ ეხლა უფრო გაბედვით ლაპარაკობენ, რადგანაც რუსეთმა გული შეაჯერიაო და ძლევით მოსილი იქმნაო.

რაზედ არის ეხლა შემდგარი ევროპიის პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმის შესახებ? საქმე ეხლა იმაზედ არის შემდგარი, რომ მეომარნი მარტოდ მორიგდნენ ერთმანეთში, თუ ამ მორიგებაში დაესწროს მთელი ევროპაცა. ეხლა ევროპიის უმთავრესნი სახელმწიფონი ორად არიან გაყოფილნი: ერთნი პირველს აზრზედ დგანან და მეორენი მეორეს აზრზედ. პირველის აზრის მომხრენი არიან გერმანია, ამის მადლატანებით ავსტრია და თვითონ რუსეთი, მეორის აზრისა მარტოდ-მარტო ინგლისია. ყველანი ჰგრძნობენ, რომ ცალკე მორიგებაში რუსეთი დიდს ლუკმას მოითხოვს და ამაში დამარცხებული, დაუძლურებული ოსმალო ვერ გაუძალიანდება. ამისათვის იმ სახელმწიფოთ, რომელთაც რუსეთის განზედ ფეხის გადგმა საზიანოთ მიაჩნიათ, ეს ცალკე მორიგება ძალიან ჰსწყინთ. ნამეტნავად ინგლისი იღვწის რომ საქმე ამაზედ არ მიდგეს და ჰსცდილობს საქმე ისე მოაგვაროს, რომ მორიგება საზოგადოს თანხმობით და თანადასწრებით იქმნას. ინგლისი ამაში განმარტოებულია. ავსტრიაც, თუმცა გულით ინგლისის მომხრეა, მაგრამ მისი ბედი ისეთის ჯაჭვით გამობმულია მძლავრს გერმანიაზედ, რომ ვერ ჰბედავს იგი ჰქმნას, რაც გულით უნდა. გერმანია რომ გადუდგეს ამ საგანში რუსეთს, ინგლისი თავის გულის წადილს ადვილად აისრულებს, ან არა და ავსტრიის შემწეობით ომში ჩამოერევა. მაგრამ ამის იმედი ჯერ მაინცა და მაინც არ არის. გერმანიას ცხადად გამოუცხადებია, როგორც ამბობენ, ოსმალოსათვის, როცა ამას შუამავლობა უთხოვნია, რომ მე შუამავლობას ვერ ვიკისრებო და ჰსჯობსო პირდაპირ რუსეთს მიჰმართოო, ეგ საქმე მარტო თქვენ ორმა უნდა გადაწყვიტოთო. ერთმა გაზეთმა კი, რომელიც მეტად შინაური ბისმარკისა, ამას წინად ტყვიასავით გამოისროლა, რომ ჩვენ შუამავლობას არ ვიკისრებთო, მაგრამ მაინცა და მაინც ინგლისის სარგებლობა დავიწყებულ არ უნდა იქმნას მორიგების დროსაო. თუმცა ზოგიერთმა რუსეთის გაზეთმა ეს სიტყვა საკეთილოდ მიიღო, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეგ სიტყვა რუსეთისათვის მეტად მკვახე და უგემურია, ნამეტნავად მაშინ, როცა წარმოვიდგენთ, რომ სიტყვა იგი თქმულაა იმ გაზეთში, რომლის მოსაქმეთაც ბისმარკთან დაახლოვებული კავშირი აქვთ. ბისმარკი საშინელი კაცია, იმის გული ბნელია, როგორც ორმო.

ავსტრია-მაც, რომელიც თუმცა ძლიერია, მაგრამ უფრო უძლიერეს გერმანიას პოლიტიკაზეა გამობმულია ბოლოთრიასავით, იგივე აზრი წარმოსთქვა, რაც გერმანიამ. ამას ამტკიცებს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვა, რომელიც წინა ივერიის ნომერში იყო გამოცხადებული და თვით ავსტრიის იმპერატორისაცა. ერთიც და მეორეც ბევრს ლაპარაკობენ მასზედ, რომ ავსტრიის სარგებლობა ყოველმხრივ დაცულია, მერე სისხლის დაუღვრელად და უომრათაო. ჩვენთვის ისა ჰსჯობია, რომ მარტო ოსმალო და რუსეთი ერთმანეთში მორიგდნენო და სხვა არავინ გაერიოს ამ საქმეში. ეს სიტყვაა, მაგრამ გულში კი, ჩვენის აზრით, ამას ამბობენ: „ახ, ნეტავი ზურგთ უკან ეს სვავი გერმანია არ მედგასო და მაშინ მე ვიცოდიო რა არის ჩემთვის სამჯობინარი და რა არაო, მაგრამ რა ვჰქნაო? ძალა აღმართსა ხნავსო. რასაც ჩამძახებენ, ის უნდა ამოვიძახოო".

ინგლისი კი მაინც თავისას არ იშლის. ამ უკანასკნელს დროს მოვიდა დეპეშა, რომ ინგლისი გულდასხეთქებით ცდილობსო შეიტყოს სხვა და სხვა სახელმწიფოთაგან შესაძლოა, თუ არა საერთოდ ჩაუდგნენ შუა რუსეთსა და ოსმალეთსა. ლონდონში ხმა გახშირებულია მასზედ, ვითომც ინგლისის მთავრობა პირდაპირ და აშკარად გამოუცხადებს რუსეთს, რომ ომის განგრძელება ამ ზამთარს იძულებულ ჰყოფს ინგლისს ოსმალოს მიეშველოს ჯარითა და ომი დაუწყოს რუსეთს. კიდევ ვიტყვით: არ ვინ იცის ჯერ რა გამოვა რისაგან?

თვითონ ოსმალო რაღას ჰფიქრობს? რა უნდა იფიქროს დამარცხებულმა, ღონე მილეულმა და ყველასაგან თავ-მინებებულმა? კიდევ ბარაქალა, რომ ამდენ ხანს გაუძლო რუსეთს! გარეთ მტერი, შიგნით მტერი, არეულობა და ყოველივე ვაი-ვაგლახი დააწვა თავზედ ოსმალოსა და მაინც იბრძვის და იბრძვის. თვითონ ხომ დამარცხდა, მაგრამ მაინც ძვირად დაუსვა თვის მოპირდაპირეს გამარჯვება. ეხლა, როცა ყარსი წაართვეს, პლევნა დაიპყრეს, ადრიანოპოლისაგან გზა გაიხსნეს რუსებმა, რასაკვირველია, ოსმალო ცუდ საგონებელში ჩავარდებოდა. ლონდონიდამ ამ უკანასკნელს ჟამს იწერებიან, რომ ინგლისი, ოსმალეთის დაუკითხავად, დაეკითხა რუსეთსა რა პირობით შერიგდებიო და ამის შემდეგ აცნობაო ოსმალოს მთავრობას, რომ რუსეთი უარს არ ამბობს შერიგებაზედაო, მხოლოდ მაშინ თუ პირდაპირ ჩემთან უშუამავლოდ დაიწყობს ოსმალეთი ლაპარაკსაო და თუ შუამდგომლობით შეუდგება ამ საქმესაო, მაშინ პირობები შერიგებისა უფრო სამძიმო იქმნებაო ოსმალეთისათვის. ამის მიხედვით სტამბოლში, თუმცა პირათ ომს იძახიანო, მაგრამ შერიგების სურვილი განძლიერებულიაო.

---

**საფრანგეთი.** სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ოსმან-ფაშა დაემორჩილა რუსის ჯარსა, მაკ-მაჰონიც დაემორჩილა პალატსა, თითქო ამას ელოდდაო ის დალოცვილი. მაკ-მაჰონს მოუწვევია სამინისტროს მოთავეთ რესპუბლიკელი დიუფორი და მიუნდვია სამინისტროს შედგენა. თვითონ დიუფორს უკისრია მეთაურობა სამინისტროსი და იუსტიციის მინისტრობა, ბარდუ ამოურჩევია განათლების მინისტრათ, ბორელი—მხედრობისათ, პოტიუო—ზღვის მხედრობისათ, სე—ფინანსისათ, ტისერან—ვაჭრობისათ, ფრეისინე—საჯარო მუშაკობისათ. ეს გამოცხადებულია „Journal Officiel"-ში.

ახალი სამინისტრო წარმდგარა პალატის წინაშე და პალატი დიდის კმაყოფილებით დახვედრია. რაკი ამისთანა რესპუბლიკელი სამინისტრო შემდგარა, ბროლი-ფურტუსაგან დაყენებულნი პრეფექტები და მათი თანაშემწენი სულ თავის ნებით გადამდგარან სამსახურიდამ. სწორედ მოგახსენოთ ჭკვიანად მოქცეულან და ძალიან კარგი საქმეც უქმნიათ. თუ კი ხალხს არ უნდიხართ, ან აქამდის რად დაიგვიანეთ! მრავალი მოხელენი გამოუცვლით როგორც სამინისტროებში და აგრეთვე დიპლომატიის რაზმში.

წინდაუხედაობა ძნელი რამ არის. ამას წინად რას ქადულობდა ჩვენი მაკ-მაჰონი და ეხლა პალატისათვის მიუწერია, რომ მე საფრანგეთის ხალხს დავეკითხეო და ხალხმა კვლავ რესპუბლიკის მომხრეთა უმრავლესობა ამოირჩიაო; ხალხის გადაწყვეტილება დაურღვეველიაო და მე როგორც პრეზიდენტი რესპუბლიკისა დავემორჩილე პარლამენტის წესსაო. ბარაქალა მაკ-მაჰონ! აქამდის სად იყო ეს დალოცვილი, თუ მაგისთანა ფხაცა ჰქონია, დაგვიანებისათვის ნუ დაემდურებით. ბოლოს მიუწერია, რომ პრეზიდენტი რესპუბლიკისა ამას იქით პასუხის მგებელი არასფერში არ იქმნებაო, მინისტრებმა უნდა გაჰსცენ პასუხიო საფრანგეთსა საერთოდ და ცალცალკედაც. ამის წაკითხვაზედ პალატის მემარცხენე მხარს ხმა-მაღლად სიამოვნება გამოუცხადებიათ და მემარჯვენეთ კი ხმა ჩავარდნიათ.

**ინგლისი.** ლონდონის კორრესპონდენტი ერთის ბერლინის გაზეთისა იწერება, რომ აქ ხმები დადის ვითომც სამინისტროში ცვლილება რამ მოხდებაო. სარწმუნოდ-მცოდნე კაცნი ამბობენო, რომ ლორდი ბიკონსფილდი სამსახურიდამ გადადგებაო პარლამენტის კრების დღემდეო, ამ გადადგომას მოჰყვებაო მთელის სამინისტროს ხელახლად შედგენაო. ხმა არის თურმე, რომ ესლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ დერბი დადგება სამინისტროს მეთაურათ და სალისბერიც მიიღებს დიდს და გამოსაჩენს თანამდებობასა. ყოველის ამის მიზეზად ჰსთვლიან ლორდ დერბის სიტყვას, ამას წინად წარმოთქმულს და ჩვენს „ივერიაში“ შემოკლებით მოყვანილს.

თუ ეს ხმა მართალია, ბევრი რამ იგულისხმება ამ ამბის გამო. ლორდ ბიკონსფილდი იყო მტკიცე მომხრე ოსმალეთისა და ბეჯითი წინააღმდეგი რუსეთისა აღმოსავლეთის საქმეში. რაც ინგლისმა დღე დააყენა რუსეთს, სულ ამ ბიკონსფილდის უნარია. ლორდ დერბი თუმცა ამისის პოლიტიკის მიმდევარია აღმოსავლეთის საქმეში, მაგრამ ესეთი ბეჯითი არ არის, ეს უფრო რბილი კაცია და ზოგიერთ რასმეს დაჰსთმობს კიდეც, თუ საჭიროება მოითხოვს. ეს ცხადად დაამტკიცა მან იმ სიტყვით, რომელიც მიზეზათ გამხდარა სამინისტროს ცვლილებისა. სალისბერის წამოყენებაც ბიკონსფილდის პოლიტიკის გამოცვლის ნიშანია. ერთობ რუსებისათვის ეს კაცები უფრო სასიამოვნონი არიან, ვიდრე გაუტეხელი და გულ-მაგარი ბიკონსფილდი.

ერთს ლონდონის გაზეთში ჰსწერია, რომ რუსის ელჩს კოპენჰაგენში (დანიის დედა ქალაქია) და დანიის მთავრობას ლაპარაკი აქვთო მასზედ, რომ ბოლგარიის მთავრად დაინიშნოს ანუ დანიის პრინცი ვალდემარი, ანუ იოანნე გლუკსბურგი.

—

**ოსმალეთი.** პლევნის დამხობამ ძალიან ჩააფიქრა ოსმალეთის მთავრობა. მას გარდა რომ თვითონ პლევნა, იმოდენა საუკეთესო ჯარი და გამოჩენილი ღენერალი ოსმან-ფაშა ხელიდამ გამოეცალა, პლევნის დამხობამ ბევრი შინაური და გარეულნი მტერნი გაუღვიძა ოსმალეთს მაგალითებრ, ჯერ შინ სომხები და ბერძნები ეურჩებიან ოსმალოს მთავრობას, ჩვენ ჯარში არ გამოვალთო; ლივანაში ძალიან ამღვრეულა ხალხი, აბაზაც ჯარში გამოსვლაზედ უარი უთქვამთ, ჩვენ ევროპიის მივარკვლობის ქვეშ ვართო; ამავე მიზეზით დეპუტატებიც არ გაუგზავნიათ ოსმალოს პარლამენტში. კრიტის კუნძულიც არეულა და ამღვრეულა და დღეს თუ ხვალ ხმლით წინ დაუდგება ოსმალოს. გარდა კიდევ სერბიასაც ომი გამოუცხადებია და რამდენჯერმე საქმეც ჰქონია ოსმალოს ჯართანა. საბერძნეთიც ჭოჭმანებს და იმზადება ომისათვის, თუმცა ძალიანა ცდილობს სისხლის დაუღვრელად და ფულის დაუხარჯავად გულის წადილი აისრულოს. იქით ძლევა მოსილი ჩერნოგორია მოჰსდგომია და ყბებს ამტვრევს ოსმალეთსა, ბოსნია, ჰერცოგოვინა ბოლგარია თითქმის სულ აჯანყებულია ოსმალოს წინააღმდეგ და მოდი და ამისთანა ვაივაგლახში ჩავარდნილი ოსმალეთი ნუ ჩაფიქრდება.

მაინც კიდევ გავლენიანი კაცები ომს ღაღადებენ თურმე. ერთი 200,000 კაცის შეყრა კიდევ შეგვიძლიანო, მოვაგროვოთ ეს ჯარიო და განვაგრძოთ ომიო. ოსმალოს გაზეთები იღვწიან ომის განგრძობისათვის, უკანასკნელ განწირულებამდე ბრძოლას იქადიან და ქადაგობენ. თვითონ ხალხი კი ზოგნი ამბობენ მშვიდობისად არისო და ზოგნი კი — გულნატკენია და უკმაყოფილობით იმღვრევაო. კიდევ მოჰყვნენ თურმე ლაპარაკს მასზედ, რომ დიდს ვეზირს ჰსცვლიანო. მაჰმედ-ალიც, რომელსაც უნდა ოსმან ფაშა გამოეხსნა, გამოუცვლიათ, ამბობენ ჩვენს უძლეველს მუხთარ-ფაშასაც ჰსცვლიანო.

## ომის ამბები

— შვიდს დეკემბერს ჩვენებს ომით დაუპყრიათ არტანუჯი; ჩვენებს დარჩენიათ ოსმალოთაგან თავდანებებული ბანაკი; საქმე ხელდასხმული და სწრაფი ყოფილა. ჩვენების ზარალია ორი მკვდარი და ხუთი დაჭრილი ჯარის-კაცი.

— ვენის გაზეთებში ჰსწერია, რომ პლევნაში მყოფი რუსის ჯარი ორად გაიყოფაო, ერთი უფრო მომატებული ნაწილი წავაო განსამღიერებლად მემკვიდრე-ცესარევიჩის ჯარისაო, მეორე ნაწილი კი წავაო წინ სოფიის გზაზედ. რუმინიის ჯარმა კი უნდა გაიმაგროსო დუნაის და ალყით შემოერტყას ვიდინსაო.

— სერბიის ომი დაუწყვია ოსმალეთისათვის, გადასულა ოსმალოს საზღვარს, რამდენჯერმე პატარ-პატარა ომი ჰქონია და ყველგან, სადაც კი შეხვედრია, ოსმალოს უკან დაუწევნია და თავისი ნადგომი

ადგილი სერბიელთათვის დაუთმია. თუმცა ესეა, მაგრამ ჯერ შესანიშნავი ბრძოლა და ომი არსად ჰქონიათ.

— ლონდონის გაზეთში „Standart“-ში ჰსწერია, ვითომ სამინისტროს რუსთა გამარჯვების გამო საჭიროდ დაუნახავს, პარლამენტს მოჰსთხოვოს იმ ზომიერების მიღება, რომელიც შეეფერება აწინდელს მდგომარეობას ომისასა. სამინისტროს სურს პარლამენტს მოჰსთხოვოს ფული ინგლისის ჯარის წამატებისათვის იმ ზომამდე, რომელსაც ითხოვს აწინდელი მდგომარეობა ევროპიისა. გაზეთი „Standart“-ი ფიქრობს, ოსმალეთის საქმე მარტო რუსეთის ნებაზედ რომ მივარდესო, ინგლისისათვის მეტად ცუდი იქმნებაო. ამისათვის ინგლისი უნდა წინაღუდგესო, თუ ვინიცობაა რუსეთი სხვათა სახელმწიფოთა დაუკითხავად საქმეს გაათავებსო.

— ხელმწიფე იმპერატორი პლევნიდამ წაბძანებულა და შვიდს დეკემბერს მიბძანებულა რაზდელნაში. ოდესიდამ დიდი ხალხი მიჰგებებია და აღტაცებულის ხმაურობით გაუცილებია.

---

## მუშა-ხალხის მოძრაობა დასავლეთ ევროპაში და მის გამო ფიქრი ჩვენ ხალხზედ.

(შემდეგი *)

### II.

საშუალ საუკუნეებში იმ მხარეს გარდა, რომელზედაც საკმაოთ ვილაპარაკეთ ზემოთ, სხვა მხარეც იყო შესანიშნავი. ამ მხარეს შეიძლება უწოდოს კაცმა კულტურა. კულტურა შეიცავს ყველა იმას, რაც პირ-და-პირ თუ გზა-შეხვევით შეეხება ცხოვრების განკარგებას. პირველი ადგილი იმაში უჭირავს, რასაკვირველია, მეცნიერებას, ხელოსნობას და სარეწაობას. მერე აღებ-მიცემობას, ურთიერთ-შორის მისვლა-მოსვლას და გაცნობას— ამათებს მოსდევს ხასიათის საყოველთაოთ შერბილება და ათასი სხვა რამე. საშუალ საუკუნეების დასაწყისში მძიმე ლოდი აწვა ამ ნაირ მიმართულებას კაცობრიობაში, მაგრამ დროთა ვითარება შეიცვალა. ახალის რწმუნებით აღტაცებულმა არაბებმა განვლეს ცეცხლით და რკინით აფრიკა და მოაწვნენ ევროპას. XII საუკუნეში შემოვიდნენ ისპანიაში, შემდეგ შემოდგეს ფეხი იტალიაშიაც. ამათ ამცნეს ევროპას აღმოსავლეთის სიმდიდრე და სიტურფე; მაგრამ მასთანავე აღადგინეს მეცნიერობის სიყვარული. ევროპისაგან დავიწყებული ძველი დიდი მეცნიერები, სკოლსნები ადგენ სამარიდგან მთამამავლობისათვის. კაროლებს და შემდეგ კაცებს ეჭაშნიკათ ცხოვრების გამტკბობელი საგნები და მიიღეს თავის მფარველობის ქვეშ იმისთანა კაცები, რომელთაც ხელიდამ გამოუვიდოდათ იგი საგნები. ამათ რიცხვში ერივნენ მეცნიერებიც. ამას დაერთო კიდევ კომპასის აღმოჩენა და ამერიკის პოვნა. ვაჭრობას ფრთები გამოესხა. ქალაქები გამრავლდენ და გადიდდნენ. ხასიათი შერბილდა. უბრალო ხალხს, რასაკვირველია, არ შეეძლო ჩაემტკბარუნებინა პირი ახალის ნაყოფის გემოვნებით; მაგრამ ამ მოვლენას არ ჩაუვლია კვალ-დაუჩენლათ მათთვისაც. რა კი მთელ მაღალწოდების საზოგადოებას მოედო სურვილი კარგათ და ლაზათიანათ ცხოვრებისა—საჭირო შეიქმნა მუშა ხელები ქალაქებში ბლომათ საქონლის დამზადებისათვის. სოფლებიდგან მოაწვა ხალხი ქალაქებს. აქ გლეხი-კაცი თავს იფარავდა ამქრობაში (კორპორაციებში) წვრილმანის მეპატრონეების მტარვალობისაგან. ამქრები წარმოადგენდნენ მჭიდროთ შეკავშირებულ სხეულს, რომელსაც ადვილათ შეეძლო მტარვალების წინააღმდეგობა და თავის მწევრის დაცვა. მაგრამ თვით ამქრობაც ბევრ შემავიწროებელ პირობებს წამოუდგენდა მწევრის თავისუფლებას. ნიმუშობრივი წყობილება მაშინდელის ოსტატ-კაცებისა იყო შემდეგი. აღას ანუ დახელოვნებულ ოსტატს ჰყავდა რამოდენიმე შაგირდი; ჰქონდა იარაღი, რითაც უნდა ემუშავნა, და ცოტა თუ ბევრი თავნი ფული, რომლითაც შეეძლო მასალების შოვნა და თავის დარჩენა სანამ გაასაღებდა თავის ნაწარმოებს. შაგირდი ბოლოს თვითონ ხდებოდა ოსტატათ იმ გვარად, როგორც ეხლაც არსებობს ჩვენში—ხარაზებს შუა, დურგლებ შუა და სხვ. ამ სახით ნამდვილი პროლეტარიატი მაშინ არ არსებობდა, მაგრამ მაშინდელს მუშას თავის გულში ენერგა ამ ნაირის წყობილების თესლი. ეს გამართლდა კიდეც მაშინების აღმოჩენის დროს. მაშინ ვისაც ჰქონდა ბლომათ ფული და შეეძლო ახალი მაშინის ყიდვა, ის ხდებოდა აღათ, მეპატრონეთ. წვრილმან ოსტატებს არ შეეძლოთ მათთან უღლის გაწევა და მიდიოდენ მასთან უბრალო მუშათ, ანუ უკედ ჰქსთქვათ, ქარგლად.

---

*) „ივერია“ № 41.

არა ნაკლები გავლენა ჰქონია უბრალო ხალხზე მეცნიერების აღდგენას და გავრცელებას. მეცნიერებას აქვს საგნად ჭეშმარიტების და სამართლიანობის გამოკვლევა და გავრცელება, — ცრუმორწმუნოების და უსამართლობის დაქოლვა და გაკიცხვა. რასაკვირველია, გამოჩნდენ უშიშარნი კაცნი, რომელთაც თავისის ნიჭით და პატიოსანის მოქმედებით ბევრი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას. XVIII ვოლტერი, რუსსო და ბევრი სხვა დაუვიწყარ იქმნებიან შთამომავლობისათვის. ნათელი აზრი, გამოთქმული ამ კაცთაგან თან-და-თან შედიოდა ხალხში. იფანტებოდა ჯერ ქალაქის მცხოვრებ შუა და აქედგან უფრო შორსაც—დაბალ ხალხში; ედებოდა მათ წყლულიან გულს და აღიზიანებდა. რასაკვირველია, უბრალო ხალხში ბუნებითად ყოველთვის არსებობდა გრძნობა თავის კაცობრიულის უფლებისა, მაგრამ ზემოხსენებულმა კაცებმა უფრო ნათლად და გარკვევით გამოსახეს ეს გრძნობა და უჩვენეს გზა მის დასაკმაყოფილებლად. ამასობაში მოაწია XVIII საუკუნემაც. ყველაფერი ისე შეეკეცა ერთი ერთმანეთს და ისე მოზვავდა ამ საუკუნეში, რომ უსათუოთ რამე უცნაური უნდა მომხდარიყო. გლეხ-კაცობა გაქელილი იყო ერთის მხრით თავად-აზნაურობისაგან და მეორეს მხრით საშინელის სახელმწიფო გადასახადისაგან. მოქალაქეებს სურდათ გათანასწორება თავად-აზნაურობასთან და მოპოება იმ უფლებისა, რაიცა ჰქონდა თავად-აზნაურობას. აზრის გამარჯვებამ იმოდენი იმოქმედეს, რომ მოსტეხეს ძვალი მაღალ წოდებას. ამას გარდა ყველანი საზოგადოთ აშფოთებულნი იყვნენ კაროლის ოჯახის უთავბოლო ხარჯზე და თავად-აზნაურობის მედიდურებაზედ. ყველა ის, რაც ეხლა ვსთქვი, უმთავრესათ შეეხება საფრანგეთს. ერთ ხმათ დაიძრა მთელი საფრანგეთი და ზე-აღმართა თავისუფლების, ძმობის და თანასწორობის დროშა; კაროლს თავი მოჰკვეთეს და აზნაურები განჰსდევნეს—ასე რომ XVIII საუკუნემ ერთი მხარე იმ საქმისა, რომელიც შეეხება უბრალო ხალხს, — გადაწყვიტა, ესე იგი, მონობა მოსპო და კანონის წინაშე ყველანი გაასწორა; მაგრამ კუჭი ვერ დაუკმაყოფილა. ეს ტვირთი თავის სიმძიმით მან გადმოსცა XIX საუკუნეს.

## III.

როცა განიფანტა სქელი ღრუბელი რევოლიუციის, გამოჩნდა, რომ უბრალო ხალხს კიდევ ბევრი დარჩენია თავის გულის წადილამდე; თითქმის იმდენივე, რამდენიც რომის ბოგანა-ხალხს რომის იმპერიის უკანასკნელ ხანებში. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ახლანდელ პროლეტარიებს ბლომათ ჰქონდა სამუშაო. მათთვის მზათ იყვნენ ყოველნაირი ქარხანები, სახელოსნოები. მაგრამ მაინც და მაინც დიდ ბედნიერებას ვერ გამოელოდენ ამისთანა წყობილებაში. კაცს რომ რამე საგნის სარგებლიანათ გასაღება შეეძლოს, ის არ უნდა იყოს იძულებული უსათუოთ დანიშნულ დროსთვის გაასაღოს თავისი საქონელი. ამ შემთხვევაში მუშტარი ფესს გაიდგამს და კარგა ძალას შეგაფეცქნის. პროლეტარის არ შეუძლიან ლოდინი. მას ხელების მეტი არა გააჩნია რა. კუჭი კი მუდამ საზრდოს თხოულობს. ბევრი ალიან-ჩალიანი არ უნდა რომ იგი დაეთანხმოს ყოველნაირ შემავიწროებელ პირობას, ოღონდ შიმშილით სული არ ამოხდეს. ამას კიდევ ხელს უწყობს მაშინა. მან შემოიტანა მოულოდნელი მოვლინება. კაცის საკეთილოდ მოგონებულმა თან მოიყოლა უბრალო ხალხის უბედურება. ახლად-მოგონილი მაშინა საშინლად ამოკლებდა სამუშაო დროს. ერთ და იმავე დროს ახალი მაშინა ოც იმდენ შეიმუშავებდა, რასაც ძველი, ასე რომ ცილობა მათ შუა არ შეიძლებოდა, ოსტატებს თავისი იარაღი უნდა გადუგდებინათ და არც ახალის შოვნა შეეძლოთ სიძვირის გამო. გაქრა მათი საკუთრება. ოსტატი გახდა უბრალო მუშათ, რადგან ახალი მაშინა ყველაფერს თავად აკეთებდა, ოღონდ კი ხელი შეეწყო. ამას ათის წლის ბავშიც შეასრულებდა. ოსტატის ფასი საშინლად დაეცა. საქონელი საოცრად გაიაფდა. ამის გამო მყიდველებიც ძრიელ გამრავლდა. ეხლა უბრალო ხალხს შეეძლო იმისთანა საგნების მოპოება, რომელსაც მაღალი საზოგადოება წინეთ გაჭირებით ხმარობდა. საჭირო შეიქმნენ მუშა ხელები, ძარღვები და არა ოსტატები. მოცვივდნენ ქალაქებში სოფლელები და გაამსეს აქაურობა. ამან გამოიწვია მუშა ხალხს შუა, ცილობა—და სამუშაო ფასმა თან-და-თან ძირს დაიწია. წარმოიდგინეთ მთელი სახელმწიფო, რომელიც ერთბამად პროლეტარიატის ბუდეთ გადაქცეულა. ეს გახლავს ინგლისი. წარმოუდგენელი სიღარიბე და ჯოჯოხეთი არსებობს წარმოუდგენელ სიმდიდრეს გვერდითვე. მიწის პატრონს გლეხ-კაცს იქ ვერ იპოვით; მთელი ინგლისი რამოდენიმე ათას კაცს ეკუთვნის. ნახევარი შოტლანდია 6 თუ 7 მებატონეს ხელთ უპყრია.

ბევრათ უკეთეს მდგომარეობას არც სხვა სახელმწიფოები წარმოგვიდგენენ, სადაც ფაბრიკული წარმოება ძრიელ გაზვიადებულია, როგორც მაგალითებრ, ბელგიაში, გოლანდიაში, გერმანიაში და საფრანგეთშიაც. ამ უკანასკნელს კიდევ ის წარჩინება აქვს სხვებზედ, რომ იქ 8 მილიონი ადგილ-მამულიანი გლეხია. ესეც რომ არ იყოს, მაშინ ხომ რევოლიუციები საფრანგეთში უფრო გახშირებული იქნებოდა. ამ მდგომარეობის შემხედვარე ბევრი ნიჭიერი და პატიოსანი კაცი თავის გულს ასკდება. ბევრი ჭკვიანი კაცი გამეშმებულია ამ საოცარის ჯოჯოხეთის სურათისაგან. იგინი ყოველს ღონისძიებას ხმარობენ თვალი აუხილონ თავის თანამოძმეებს, ამცნებენ რა უბედურებას უქადის მათ უყურადღებობის მიუქცევლობა ამ მოვლენაზედ; და ამასთან უჩვენებენ საშუალებას თუ რა ნაირად მოელება ამ საქმეს. შენც არ მომიკვდე. ვინ უგდებს ყურს ამ მოციქულებს? მათ სდევნიან და აბრალებენ ყოველნაირ საძაგლობას. რა გაეწყობა? ეს ყოველთვის აგრე ყოფილა და ასე იქნება. თვალების ამხილველს ჯვარზედ აცმენ. იგინი იმაში არიან დამნაშავენი, რომ წინასწარმეტყველობენ: პროლეტარი ამისთანა მდგომარეობას დიდ ხანს ვერ მოითმენსო და ბოლოს ამოსრესს ერთბაშათ მტყუანსაც და მართალსაცაო. რადგან მაღალმა საზოგადოებამ ხმა მღაღადებლების არ შეისმინა და პროლეტარიატმა იგრძნო, რომ მას შემწე თავისის თავის მეტი არავინა ჰყავს, იფიქრა: რომ ჩემი საქმე მევე უნდა გავიტანო ჩემივე მხრებითო. იგი შეუდგა ერთი-ერთმანეთის მხარის მიცემას და თანხმად მოქმედებას. ყოველ სახელმწიფოში დასავლეთის ევროპისას მუშა ხალხმა დაიწყო შმაშური და ფაცა-ფუცი. მაგრამ სხვა და სხვა გვარ-ტომის ხალხმა სხვა და სხვა ფერი დაადვა თავის მოძრაობას და სხვა და სხვა გზა აირჩია თავის წადილის აღსრულებისათვის მაგალითებრ, ინგლისში, სადაც გრძნობა კანონიერებისა ძრიელ გავრცელებულია, ყოველი მოქმედება და მოძრაობა პროლეტარისა სასტიკად ეთანხმება კანონს, ამიტომაც იქ ძრიელ ნელა მიწოწიალობენ, მაგრამ მედგრათ იჭერენ იმას, რაც ერთხელ მოუპოვებია. საფრანგეთში კი, სადაც კანონიერებას ისეთს პატივს სცემენ, როგორც ჩვენში მეწვრიმალე-ურიას (მიაქციეთ ყურადღება ეხლანდელ მაგ-მაჭონის მოქმედებას), იქ, რასაკვირველია, კანონიერი მოქმედება არას გაარიგებს. და ამიტომაც ხშირად გამოხეთქამს ხოლმე ხალხის დაგუბებული ჯავრი და ბრაზი და წალეკავს ხოლმე თავის ზედამხედველებს. რომელი გზა უფრო მალე და ბეჯითად მოიყვანს პროლეტარიატს თავის გულის-წადილამდე — ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის. ისტორია, რასაკვირველია, მტყუანსა და მართალს ბოლოს დაგვანახებს. მე რადგან შვეიცარიაში დავესწარ ერთ ამისთანა მუშა ხალხის მოძრაობას თავის მდგომარეობის გაკარგებისათვის, ვეცდები გაცნობოთ მათი მეცადინეობა და შედეგი, რაიც გამოვიდა ამ მეცადინეობიდგან.

გარეგანი მხარე ამ მოძრაობისა იყო აწერილი „დროებაში", მაისის რომელიღაც ნომერში, მე ეხლა შევეხები მის შინაგან მხარეს. ამ სამი წლის წინად, როცა დეპუტატებს ირჩევდნენ, მაშინ ის უკანასკნელნი შეჰპირდნენ ხალხს მათთვის მოღვაწეობას და საფაბრიკო კანონების უკეთესად შეცვლას. რადგანაც აქაურ მმართველობას რჩევის ხმა აქვს, მას უნდა შეედგინა რამე და წარედგინა ხალხისთვის სარჩევად. მოკავშირეთ-რჩევამ (Bundesrath, Союзный совѣтъ), შეადგინა კანონ-მდებლობა შესახებ ფაბრიკისა და წელს მაისში წარმოუდგინა ხალხს. მეფაბრიკეებმა ბევრი იმეცადინეს მისი ხელის შეშლა, მაგრამ 21 ოკტომბერს ხალხმა ეს კანონ-მდებლობა მიიღო 76 ათასის ხმით წინააღმდეგ 51 ათასისა. აი უმთავრესი დადებულება ამ კანონისა. 1) კანონიერი სამუშაო დღე — 11 საათია, ხოლო შაბათობით კი 10. ღამით მუშაობა აღიკრძალება სრულიად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ღამით მუშაობა აუცილებელი საჭიროებაა, 2) კანონი მცირე წლოვანის მუშების შესახებ: 14 წლამდი ბავშვი სამუშაოდ არ მიიღება, 14—16 წლამდის თუმც მიიღება, მაგრამ მასთანავე შკოლაში უნდა დაიარებოდეს და სამღვთო წერილს სწავლობდეს, ასე რომ ყველა ეს მოვალეობა 11 საათის მეტს არ უნდა იპყრობდეს. მხოლოდ 18 წლიდგან დაწყებული ახალგაზდა მუშა ეთანასწორება მოზდილს მუშას და მის უღელის გაწევაში შეებმის. ამ დრომდი ღამით მუშაობა აღკრძალულია. 3) პასუხის გება შესახებ ფაბრიკაში მუშის დაზიანებისა ანუ სიკვდილისა. თუ მუშამ რამე ზიანი მიიღო ფაბრიკაში ან მოკვდა კიდეც, მეფაბრიკემ უნდა დაუმტკიცოს ადგილობრივ მმართებლობას, რომ ეს შემთხვევა მუშის ბრალი იყო და არა მისი, ანუ მისის მოხელეების დაუდევნელობისა და უნდა უზღას დაზია-

ნებულს ან მუშის ოჯახს. მეფაბრიკემ ორი წლიწადი უნდა არჩინოს, თუ რომ ძლიერ დაზიანებულია; ფაბრიკები იმ ნაირათ უნდა იყვნენ აღშენებულნი და მოწყობილნი, რომ მავნებელნი არ იყვნენ მუშებისათვის; მაშინები განკერძოებულნი უნდა იყვნენ და უვნებელნი; ქურა უნდა იწმინდებოდეს და ათასი სხვა დადებულება, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ შესწევენ მუშების მდგომარეობას.

## IV.

მკითხველო, გვყავს ჩვენ პროლეტარიატი თუ არა? არა—დაგვიხსნას ღმერთმა ამ უბედურებისაგან. ჩვენ კინტოსაც აქვს თავისი საკუთრება: თაბახი, რომელზედაც აქვს დალაგებული ხილი, ცოტა ფული, რომლითაც შეუძლია ხილი იყიდოს, თავის ვერცხლის ქამარი—ყველა ეს მისი საკუთრებაა და ამათ თუ თავის ძარღვებს დაუმატებს, ცოტად თუ ბევრად კმაყოფ ლია. ჩვენ არა გვყავს პროლეტარიატი. მაგრამ გაგვიჩნდება, თუ რომ ჩვენმა გლეხებმა ადგილ-მამული ადრიანად არ შეისყიდეს, და თუ მანამდი ქარხნები გაიმართა ჩვენში. გულ-დაწყვეტილები, რომ მათი ნამუშევარი სხვას მიაქვს, იგინი მიატოვებენ სახლკარს და გასწევენ ქალაქში სამუშაოთ ქარხნებზედ. აგრეთვე თუ არ მოვაშორეთ მათ წვრილი წურბელაები, რომელნიც მათ ახვევიათ თუ არუთინაების მსგავსათ, თუ მალომაებისა. ჩვენ სხვა არაფერი გვაშორებს, თუ ჩვენმა ახალგაზრდებმა არ დაიზარეს და გლეხებს ხელი წაუმწვადეს თუ ბანკების დაარსებით, თუ გამომზოგველისა და მხარჯველის (потребительныя) ამხანაგობის დადგინებით. ერთი ამის მაგალითი კიდეც იყო მოყვანილი თქვენს პატივცემულ „ივერიაში". გული სიხარულით მიძგერდა, როდესაც ვკითხულობდი „დროებაში", რომ გამოჩენილა პატიოსანი და კეთილი ექიმი ბაბოვი, რომელიც ძლიერ ეხმარებოდა საწყალ გლეხ-კაცებს წელს ქუთაისის გუბერნიაში მუცელ-კეთილის და საქონლის ავათმყოფობის მოსასპობლათ. რამდენ ლოცვა-კურთხევას ვუგზავნიდი იმ დალოცვილს. ჩვენი ახალგაზრდობა, რომლის პატიოსანი გრძნობა და მიმართულება დამტკიცებულია, ბევრ საქმეს იპოვის ჩვენში ამ გზაზედ, თუ მოინდომებს,—და ვალდებულია თავისი ძალა დაახმაროს თავის აღმზრდელ ხალხს. შკოლების ხეირიანათ წარმართება ვისი საქმეა, თუ მათი არა? გვეყოფა ჩვენი ძალის უადგილოთ ხმარება; გავიგოთ ის, რომ ჩვენ სხვაზე, თუ არ მომეტებულათ, ნაკლებათ არ ვსაჭიროებთ ძალის გამოზოგვით მოხმარებას. ამდენი ხანია ჩვენი მსწავლული ახალგაზდები უმთავრესად ჩინოვნიკობას ეტანებოდნენ. დროა ესლა შიგ ცხოვრებაში შეკიდნენ და იქ შეიტანონ თავისი განათლება და კეთილი გული. რასაკვირველია, ჩინოვნიკის ადგილზედაც არ ქნება უსარგებლო კეთილი კაცი, მაგრამ აქ საკმაოთ არიან იგინი. ერთი უმთავრესი მოვალეობა ჩვენის ახალგაზდობისა კიდევ ისაა, რომ დაგვაკავშიროს ხეირიანად ჩვენ გლეხებთან და მოგვიპოვოს მათ შორის სიყვარული და პატივის ცემა. ჩვენი ლიტერატურა ამსაგანს ჯერ თითქმის არც კი შეხებია.

მე ვათავებ ამ წერილს ჩვენის გამოჩენილის პოეტის სიტყვებით:

ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი?
ჲ ვერ ვჰსთქვი რაცა, ის სწყლულად გულს დამთა ჲ მით ვიტანჯვი.

9 ოკტომბერი 77 წ.
ციურიხი.

---

## გლეხური სიმღერები

### 1.

მაღლა მთაშია ყინული
აპირობს ჩამოდნობასა;
რა გინდ რომ გყვანდეს მიჯნური
ვერ გიზამს ჩემოდნობასა.

### 2.

ლამაზმა ჰსთქვა ჩემი ქმარი
გულით არა მყვარებია;
არც ლაშქარს წასვლა მწყენია,
არც მოსვლა გამხარებია.

### 3.

მაინც არ მოვკლავ ტოროლას
თუნდ ბევრი მქონდეს წამალი;
საწყალის ღამის მეხრისა
ის არის კარგი წამალი.

### 4.

მინდორშია თეთრი ქვაა,
ავწიე და არ ამყვა;
გოგო, შენი სიყვარული
საცა წაველ თან-წამყვა.

5.

ქალო, მაგ შენსა სურვილსა,
შამომითვალე რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბლითა,
რო ვერა ვზიდო რა ვუყო?
დავემხო დედა-მიწასა
ქვესკნელს ჯინჭველას ხმა ვუყო?—

6.

ნეტავ, ქალო, ფიფქი ვიყვე,
ჩამოვყვე ცივის ნიავსა,
არც არა შენ დაგიშავდეს
და ნურც მე მიმცემ ზიანსა.

7.

შენი ჭირიმე, გუთანო
გათლილო წმინდის ხისაო!
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა,
დამმარხავი ხარ მკვდრისაო!

8.

პატარა ხარ, ეგრეთი ხარ,
რომ გაიზდე, რა იქნები?
—შენ ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები...

9.

ადგილზე ფეტვი დამეპნა,
ვინ აჰკრეფს წიწილის მეტი?
მე და შენსა სიყვარულსა
რა გაჰყრის სიკვდილის მეტი?

10.

ირმისა ჯოგსა გადმოვჰყევ
ნახტომსა ჯეირნისასა,
ბევრი ვიარე, ვერ შევხვდი
მოყვარეს ჩემის ზნისასა.

11.

ვაი რა ბედი დავკარგე
გასათხოვარმა ქალმაო!...
ჩიქილა წყალმა მომტაცა,
შუბლზედ საკრავი ქარმაო....

12.

წასვლას ჰსჯობს წაუსვლელობას
არ დასანებს ხანისა;
კოცნა ჰსჯობს თეთრი ქალისა,
შერთვა კი შავგვრემანისა.

## იაგუნდი მარია სტუარტისა

(თარგმანი)

### I.

### უდაბნო.

გალფერანის უდაბნო, ანუ მონასტერი დგას ერთს მშვენიერს ალაგს ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. მის გარეშემო ზღვის-პირი დიდებულის სანახაობისაა, მორთულია მრავალფერის ფრიალო კლდეებითა, მორღვეულის ფლატეებითა, ლამაზად მიხვეულ-მოხვეულ ღელეებითა და თვალთ დაუწდომელ ნაპრალებითა. ამ კლდეთა და ნაპრალთ შორის ზოგან, ადგილ-ადგილ მოჩანს თვალის-მიმტაცნი ოლეები და მინდვრები, ზედ მაჩრდილობელი ჭალები და აბიბინებული მწვანე. ერთობ უზარ-მაზარი და დიდებული სურათებია. ამ სურათებს დალმეის დიდის ატლანტიქის უკეანის ზვირთ-ცემა და ტალღა, რომელიც დიდს მთასავით მოგორავს უკეანეს ზედა პირზედ გრიალით და გუგუნითა.

ვისაც კალფერანის უდაბნოში მისვლა უნდა, ის წინადვე არ უნდა შეუშინდეს აუვლელს აღმართს, ოღრო-ჩოღრო გზებს, უდაბურს ბილიკებს, არ უნდა შეუშინდეს უკაცურობას და მარტოობას და არც უნდა მოელოდეს იმისთანა ხელთ-ქმნილს სურათებს, რომლითაც ეგრე თავი მოაქვს ხოლმე ინგლისის მდიდარს მიწის-მფლობელს არა, აქ რბილი, გატკეპნილი გზა არ მიდის, არ არის აქ კაცის ხელით ნაკეთი ბაქობი, საიდამაც კარგი გადასახედავი უნდა იყოს ძველის შენობის ნანგრევებზედ; არ არის აქ განგებ გაკეთებული მეიდანი, ბელტებით შემოწყობილი და მორთული, არც მწვანე ოლე ეზოში, არც დროშა ფრიალებს შენობის თავზედ და არც ფორთალოა განგებ მოყვანილი, რომ ლამაზად დაჰფაროს კედლის ნარღვევი და ნაშთი ნანგრევებისა.

ის ადგილი, რომელზედაც გზა მიდის ბალიკაშელის ქალაქიდამ კალფერანში, ერთ-სახეა და თვალისათვის მაგდენი არაფერია, როგორც ყოველგან შიდა-ირლანდიაში; სადაც ხალხის მოჯგუფებული, მეტად მცირე სხვა და სხვაობაა და ბუნებას არა აქვს სოფლის სიტურფის გრძნეულება.

მონასტერი დგას ისე, რომ ზურგ შემოქცეულია იმისკენ, ვინც მონასტერში მოდის მშრალის გზით და ამ მონასტრის უკანა მხარეს არაფერი შესანიშნავი არა აქვს რა. ხოლო როცა მონასტერში მოდის კაცი დასავ

ღეთის მხრიდამ სულ სხვაა. აქ უდაბური ოღრო ჩოღრო, აღმართ-დაღმართიანი გზა მიხვევ-მოხვევით მისდევს ღრმა ხევების ნაპირებს, საცა კლდეებიდამ გადმოქანებული წყალნი ჩადიან და ჩაიმღვრიან იქ თვით ხევებში მიიკლაკნებიან ბრწყინვით წყლები და მათი ჩუხჩუხი, ხმაურობა რაღაც გრძნეულებით ავსებს ადამიანს ზაფხულის შუადღის მყუდროების დროს მიმავალს, თუ მთვარიანის ღამის მედიდურ მდუმარებისას. ამ გზით კალოფერანის მონასტრის სანახაობა სწორედ დიდებულია.

მონასტერი დგას მაღალ კლდეზედ, რომელსაც მეტად ძლიერ დაქანებული და შიტალო ფერდობები აქვს. გზა ღრმად გათხრილია შიგ კლდეში და ეხლაც იმისთანავე გზაა, როგორც ძველის რომის დროს. ნახირი ძროხისა და ფარა ცხვრისა დადის დაცემულს მინდვრებზედ, გარეული თხა და ფსიტი მიბობღავენ წვეტად ასულ კლდეებზედ და ფრიალოზედ, სვავი და არწივი დასტრიალებენ ამ უდაბურს არე-მარეს, მაღლა ღრუბლებამდ ასულნი და ფრთებზედ გაჩერებულნი, აქ ცა ყოველთვის ფერ არეული და დატვირთულია სხვა და სხვა სახის ღრუბლებით. აი ამისთანა არე-მარე აქვს ამ ძველს უდაბნოს, რომელსაც ერთ დროს ასეთი დიდი სახელი ჰქონდა, რომ ყოველ მხრიდამ მოდიოდა ულეველი მლოცავი. ამ მონასტრიდამ მრავალი მქადაგებელი ჭეშმარიტის სიტყვისა, აღსავსენი სარწმუნოების მხურვალებითა და გათქმულნი მჭევრ-მეტყველობითა, ღვთისნიერობითა და თავ-დადებულის მოღვაწეობით, გადიოდნენ როგორც თვით ირლანდიაში, ისეც ზღვის იქით სხვა ქვეყნებში საქადაგებლად და სამოძღვროდ.

მას დროს ამ მონასტერში იყო ერთი საფრანგეთელი გრაფი ფრანცისკი დე-ვალმონი, რომელმაც დაანება თავი ერობას და ბერად შედგა. ამან მოიტანა თან და შეჰსწირა მონასტერს დიდრონი ზარები, ფლამანდიის ოსტატებისაგან ჩამოსხმული. როცა გარდიცვალა, მას დიდი სახელი დარჩა; მის სახელს დიდის თაყვანებით და პატივით იხსენიებდნენ. მისი ბერობის სახელი კიპრიანე იყო.

იმ უძველეს დროში საფრანგეთიდამ ასე ადვილი გზა არ იყო ირლანდიამდე. მაშინ ეს გზა ისე ძალიან შორეულად და ძნელად მიაჩნდათ, რომ მაგ გზაზედ სვლა თავ-გამომეტებათ ითვლებოდა. კილფერანი ბევრს ბერ-მონაზონს ჰგზავნიდა ხოლმე, რომ სხვა და სხვა ქვეყნებში დაუმორჩილებელს ყურს ჩააგონოს ამაობა ამიერის ქვეყნისა და ნეტარება იმიერისა. ქადაგებისა და მოძღვრების შემდეგ იგინი დანიშნულ დროს ისევ დაბრუნდებოდნენ ხოლმე მონასტერში და ჩუმჩუმად მიეცემოდნენ მშვიდობიანს, მაგრამ უსასტიკეს ცხოვრებას ბერ-მონაზონობისას. ხოლო მამა კიპრიანი განუშორებლად მონასტერში იმყოფებოდა, თუმცა ამბობდნენ, რომ მთელს მონასტერში ამისთანა მეცნიერი და მჭევრ-მეტყველი სხვა მქადაგებელი არ იყო; მასზედ ამბობდნენ „სწორედ ოქრო-პირიაო“.

უდაბნო, რომლის ძველ კედლებითა შორის გრაფმა დე-ვალმონმა მოიპოვა სულის მშვიდობა და დამარხა თავისის უწინდელის სიცოცხლის ისტორია, გათქმული იყო თავისის სიძველითა მაშინაც, როცა იგი მოვიდა მუნ თავ-შესაფარებლად. სახელოვანნი ზარები, ეგ მეტად ძვირფასი შესაწირავი, მოიტანა მან სხვა ქვეყნის ხომალდით; ამ ხომალდს ისეთი უცნაური აგებულება ჰქონდა, ისეთი სხვა გვარი მომართულობა, რომ კაცი მაშინვე შეატყობდა, რომ ეგ ხომალდი სხვა ქვეყნისაა. მაშინვე ამბობდნენ, რომ ამ ახალმა ბერმა ამ ზარებთან ერთად მრავალი სხვა განძიც მოართვაო მონასტერს და თვით ამ ზარებს ხალხი რაღაც ცრუ-მორწმუნეობის შიშით და მოწიწებით უყურებდა და სამღვთოდ რამე ჰსწამდა და ლოცულობდა.

ხოლო თვალად კი არა ეტყობოდა რა, რომ მამა-კიპრიანეს ზარების მეტი მიერთოს რამე მონასტრისათვის. ესე უნდა ვიფიქროთ იმის გამო მაინც, რომ არა რაიმე გარეგანი ნიშანი მონასტრის ცხოვრებაში არ მოასწავებდა მონასტრის ქონების გამრავლებას; თვითონ კიპრიანეს ცხოვრების დღენი იმისთანავე მარხულობაში, ლოცვაში და თავ-დაბლობაში გადიოდნენ, როგორც უკანასკნელის მწირი-ბერისა ვისამე და ვიდრე იგი ცოცხალი იყო, მის სახელს თითქმის არც კი იხსენიებდნენ. ეგ საკვირველის ხმის და ძვირფასი ზარები რომ არ ყოფილიყვნენ, იქნება სიკვდილს შემდეგაც მისი ხსენება ისე გამქრალიყო, როგორც განქრა ხსენება მრავალთა მის მოძმეთა ბერთა, რომელნიც განხრწნილნი არიან უსახელო სამარეებში მონასტრის სასაფლაოზედ. გარნა ზარების გამო დიდხანს იყო ხსენება მისი, სახელი მისი მამით შვილზედ გადადიოდა იმ დრომდე, ვიდრე მონასტერი არ გაუქმდა და ის ზარები არ წაართვეს მონასტერს და არ დაჰკიდეს რეფორმატების ეკლესიის სამრეკლოზედ იმ ადგილის უახლოეს ქალაქში.

ირლანდიის ხალხს გულის სიღრმემდინ ეწყინა და ძალიან გაბოროტდა, როცა ზარები მამა-კიპრიანესი წაართვეს და გადასცეს მათის ქვეყნისა და სარწმუნოების მტერს და მდევნელსა. ხალხმა ამისათვის თავიც გამოიდო, რადგანაც ის ზარები სამღთოდ რამე და წმინდად ჰსწამდა, მაგრამ მაშინდელმა სისხლის მღვრელმა მთავრობამ მოუკლა ხალხს ეს თავ-გამოდება. თუმცა ირლანდიის ხალხი აიმღვრა ძლიერის მძულვარებითა და სასიკვდილე მტრობითა, მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო, რადგანაც ხალხს არავინ ეგულებოდა მოსაშველებლად და შემწედ. გარნა აქაც კი აღმოჩნდა ძალი და მიემხრო უძლურთა,—ძალი, რომელიც თვლით არ განიზომება, ხელშეხებით არ იცნობება, ძალი, რომელზედაც კაცი ვერ გამოაჩენს გულ ახდილად თვის ხელმწიფებას, ვერც ცხადად იდღესასწაულებს მის ძლევა-მოსილობას, მაგრამ ყოველ ამის მაგიერ შეიძლება კაცს ჰსწამდეს იგი ძალი, შეჰსტრფოდეს მას უზომო სიყვარულითა და მხურვალებითა ისე როგორც ყოველთვის ჰსწამებია და ჰყვარებია ირლანდიის ხალხსა. ეგ ძალი ორის სტიქიონის უძლეველებაა—სარწმუნოებისა და სამაგიეროს ზღვევის იმედისა.

ხალხში დადიოდა ხმა, რომ ოსტატები, რომელთაც იკისრეს იმ ზარის დაკიდება ახალს ადგილს, ხარისხებიდამ ჩამოცვივდნენ და იქავ სული დალიეს; სამრეკლოს მეხი დაეცა და დაინგრა ძირამდე; ზარები დაცემის დროს დატყდა და როცა ხელახლად გატეხილი შეადუღეს, თავის-თავად გაიბზარა. მთელს სამრეკლოში კაცი ვერ იპოვეს, რომ ზარის რეკა ეკისრნა იმ სობოროში, რადგანაც ხმა გავარდა, რომ ვინც მამა-კიპრიანეს ზარს დარეკს სხვა რჯულისა და უცხო თესლის კაცთა ბძანებითა, სახლში აღარავინ შეუშვებს, თავისის ოჯახის კერასაც აღარავინ მიაკარებს, არც ერთს ქალს ვეღარ იპოვის წვეულებაში სადმე ხმის გასაცემლად, არც ერთი გასათხოვარი ქალი ცოლად არ გაჰყვება, არც ერთი დედა-კაცი არ მოინდომებს მის მოვლას და პატრონობას სნეულობის დროს—ერთის სიტყვით შერისხულ იქნება და განდევნილ თვისთა მოყვასთა და მახლობელთა შორის. ამ გვარის ძალის წინაშე უღონო შეიქმნა თვით იმ რკინის მთავრობის ძლიერება. იმ დროს ირლანდიაში ბევრი უღვთო კანონები ჰსწარმოებდა, მაგრამ მაინც კიდევ მთავრობამ ვერც ერთს კაცს ვერ აქმნევინა ის რომ მამა-კიპრიანეს ზარები ერეკა, და ეგრედ დადუმდნენ იგი ზარები საუკუნოდ.

ხოლო არ დადუმდა მამა-პაპის ნაანდერძევი თქმულობა, თუმცა საიდუმლოდ და ფარულად კი გადადიოდა დიდიდამ პატარაზედ, რადგანაც ვინც მაშინ თავის გულის ტკივილს გამოჰსთქვავდა, თავსა ჰსჭრიდნენ. ბოლოს დროს ის ზარები სრულიად დაიკარგა, არავინ იცოდა როდის და როგორ. იქნება ამ დაკარგვის ამბავი ადვილად ასახსნელიც იყო, მაგრამ ხალხს უყვარს თავის შეტრფიალებული საგანი საიდუმლოების ფარდაში გაახვიოს: საიდუმლოება, უცნაურობა როგორღაც ანუგეშებს ხოლმე ხალხს. იმ ზარების დაკარგვა ისე დარჩა ხალხში სანუგეშებელ საიდუმლოებათ.

მაგრამ გაიარა ბევრმა წელიწადმა, და იმ დროის ბაშვები, როცა კიპრიანეს ზარები ისე უცნაურად დაიკარგა, გაიზარდნენ და მოხუცდნენ კიდეც. მაშინ ხალხში ხმა გავარდა, რომ ვითომც კილფერანის კლდეებზედ ზღვის მხრიდამ ისმის ხოლმე ზარების ხმაო, ვითომც ზაფხულის მყუდრო ღამეებში ხომალდის გუშაგს მოსდის იმათი მედიდური, სასიამოვნო და მიმზიდველი ხმა; სნეულის ბაშვის ახალგაზრდა დედებსაც თვისის შვილის აკვანზედ ბევრჯელ გაუგონიათ ის ხმაო, აგრეთვე ყოველს იმედ-გადაწყვეტილს სნეულებსაცაო და ერთის სიტყვით, ყველას, ვინც კი დამძიმებულნი არიან ცოდვითა და მწუხარებითა, ბევრჯელ სმენიათ ზარის ხმა და ნუგეში მიუღიათ; ყველაზედ ხშირად სმენიათ მომაკვდავთა. ერთობ კარგს ნიშნად ჰსთვლიდა ხალხი ვისაც ეგ ეღირსებოდა. არავის არ ეშინოდა მაგისი, თუმცა არავინ იცოდა, სად ჰკიდია ის ზარები და რა სახისანი არიან. მთელმა საუკუნოებმა გაიარეს და უკაცურს და დანგრეულს კილფერანის მონასტერს არა რამე ხმა არ მოესმინა, გარდა ღამურის ფრთების ფრიალისა და მკიოტის ძახილისა, მაგრამ ხალხს მაინც კიდევ ჰსწამდა, უშიშრად და ყოველის ეჭვის გარეშე, რომ საკუთრად მის ყურთა სასმენად ირეკება ხოლმე კიპრიანეს ზარები.

ხალხს გული ჰსტკიოდა, როცა ესმოდა უხილავის ზარის ხმა, მაგრამ მაინც კიდევ ვისაც მოესმოდა მადლად ჰსთვლიდა. მრავალი გატეხილი და ბედის მორჩილი გული სასოებით მიუპყრობდა ხოლმე ყურს და ხარბობით ნატრულობდა ზარის ხმის გაგებას, ვითარცა მადლსა ცისას; იმ დრომდე სულ განაბულს ყური ეპყრა აცა

ის კურთხეული ხმა მომივა, ვიდრე დალოცვილი წარმოდგინება არ მოაჩვენებდა სანატრელს ხმას და მით არ მოუკლავდა გულის-წუხრვილს, ისეთის სასოებით ფრთა ასხმულსა. ადამიანის გრძნობას ნიჭად აქვს რაღაც კავშირი მასთან, რაც ბუნების გარეა და გონებისათვის მიუწდომელი.

ყოველივე ეს უწინ იყო, ძალიან უწინ და ეხლა როცა კაცი ხედავს კილდერანის მონასტრის ნანგრევებს, ძნელადღა შეიძლებს გონებით მაინც წარმოიდგინოს ეს მონასტერი იმ სახით, რა სახითაც იყო იმ დროს, როცა მამა კიპრიანე დადიოდა მის გარეშემო და დროს ატარებდა სამარეების ჩხრეკაში მონასტრის სასაფლაოზედ. ნაზი და მოხდენილი მოყვანილობა მისის შავგვრემანის, სწორედ ფრანციელის სახისა არა ჰგვანდა სხვათა ბერ-მონაზონთა სახეს. სახე მისი ჯერ კიდევ რიხისა და ღირსების გამომეტყველი იყო, თუმცა კი ზედ-დაჰხსნელოდა კვალი დიდის ტანჯულობისა და დაღალულობისა. ეხლა ეგ მონასტერი ისეთნაირად დანგრეულია, რომ არსად არ შერჩენია არც ერთი ნიშანი რისამე ხელოვნებისა.

კილდარენის შორი ახლო ზღვის პირზედ მშვენიერი ნავთ-სადგურია, სადაც ეხლა ჩვენს დროში მრავალი ხომალდები დგებიან და სადაც იმ უწინდელ დროშიაც ბევრი სასოვდაგრო გემები დგებოდნენ. ბევრნი მოგზაურნი აქ ზღვის ნაპირზედ გამოდიოდნენ, იქირავებდნენ ცხენს და გზის მაჩვენებელს და მივიდოდნენ კილდარენში, სადაც მათ დახვდებოდათ ხოლმე სტუმარ-მოყვარეობა და კეთილ-მწვრთელი საუბარი ბერ-მონაზონთა. მოგზაურთ მოჰქონდათ ამბავი შორსა-მყოფთ ნაცნობებისა, ანუ ქვეყნიერობის ამბავი რამ და როცა თვის საქმეს გაათავებდნენ, ისევ თავის გზას შეუდგებოდნენ, რათა ისევ ჩაებან ამ წუთის-სოფლის ტრიალში და არა ერთხელ მოიხედივდნენ ხოლმე ამ მშვიდობიანის სადგურისაკენ, რომელსაც საუკუნოდ შორდებოდნენ.

შვიდმა წელიწადმა გაიარა მას აქედ, რაც ქვეყანას მიეფარა გრაფი ფრანცისკო დე-ვალმონი და კილდარენის უდაბნომ და მის გარეშემომ გაიცნო მეცნიერი, ღვთის-მოყვარე, გულ-დახურული, და მიუკარებელი მამა-კიპრიანე. ამ შვიდს წელიწადში არავის არ მოუკითხავს იგი, არავინ არ მოსულა მის სანახავად და არა რაიმე ამბავს ქვეყნიდამ არ მიუხწევია მის ყურამდე. მას აქედ რაც მოშორდა თავის მშობელს ქვეყანას დიდი ამბები მოხდა, მრავალი საშინელი საქმე ჩაიწერა ქვეყნიერობის ისტორიაში და დამჩაგვრელ ტვირთად დაედო არამც თუ იმ საზოგადოებას, საიდამაც თვითონ თავი გამოირიცხა, არამედ ბევრს იმისთანა საზოგადოებასაც, რომელთაც შორის თვით ეძიებდა თავის უკანასკნელის ცხოვრების ნავთ-საყუდარსა. კილდერანის უდაბნო იმის წყალობით გადარჩა ქვეყნის უკუღმართობას რომ შორს იყო და თვალისათვის უჩინარი. უეჭველია ბევრს, ვისაც ძალა და უფლება ჰქონდა ბერ-მონაზონთა წყობის დამხობისა, არ ეცოდინებოდა რომ სადმე შორს რაღაც მიყრუებულს ადგილას მიმალულია ერთი უბრალო მონასტერი, რომელიც ღირსიც არ იყო, რომ მთავრობას ყურადღება მიექცია. ესეა თუ ისე ჯერ კიდევ კილდერანს დამხობის დრო არ მოსულოდა. მონასტერი ისევ თავისუფლად არსებობდა თავისის წესით და მშვიდობით ჰფლობდა თავის ქონებას, თუმცა კი ხმა მოდიოდა, რომ ინგლისის დედოფლის ელისაბედის მოხელენი ტყავს აძრობდნენ ირლანდიის ხალხს და ჰსდევნიდნენ მის სარწმუნოებას—და აი სწორედ ამ დროს გამოჩნდა ერთი ნიშანი, რომ კიპრიანისა და მის გარე ქვეყნის შორის არის კიდევ რაღაც კავშირი.

ზაფხული ილევოდა. მოწმენდილი დღეები იყო, ისევ ცხელოდა; მინდვრები ოქროს ფრად შეიმოსნენ, გამზადებულნი მოსამკალად; ზღვა ზარმაცად მიაგორებდა თავის ზვირთებს, თითქო ჰსთვლემსო განსხვავებულს სინათლეზედ; ყოველი ხმაურობა მიჰსწყდა. საქონელი და ყოველი ოთხ-ფეხი იწვნენ ისეთის მოსვენებით და კმაყოფილებით თითქო ნეტარებით აღვსილანო და ხეებმაც კი ჯერ უძრავად მდგომარეთა, უეცრათ, თითქო გაიღვიძესო, თრთოლა დაიწყეს თითქო რაღაც საიდუმლო ნეტარების ჟრჟოლამ ტანში გაუარათო.

ერთს პატარა სენაკში, რომელსაც ერთი სანათური ჰქონდა და თეთრად იყო გალესილი, იჯდა მამა-კიპრიანე და უშველებელს წერილებს ჰსჩხრეკდა ტყავზედ გარკვევით, მაგრამ უცნაურად დაწერილებს. მის სახეს ჩვეულებრივი რიხი და ღირსება ეტყობოდა მაშინაც, როცა იგი თითს აყოლებდა სტრიქონებს და მისი ტუჩები ცმაცუნებდნენ, იმეორებდნენ რა წაკითხულს სიტყვებს. ყოველს მოძრაობაში ეტყობოდა ცხადად ნამდვილი ბერ-მონაზნობა, მაგრამ კი რომ კარგად დაჰკვირვებოდით, ამ

ბერ-მონაზონობის სახეზედ წაიკითხავდი, რომ იგი ან სახელმწიფო საქმის მომქმედი კაცია, ანუ სპასალარი ჯარისა. ცხენის ფეხის ხმაურობა მოისმოდა, მაგრამ მის ყურთამდე ვერ მოახწია; არც გაიგო როცა კარის ჯაჭვმა გაიხმაურა და გაიღო მძიმე შვის კარები. სენაკში შევიდა მწირი-ბერი და უთხრა კიპრიანეს, რომ ვიღაცა დიდი კაცი მოვიდა და შენს ნახვას ნდომულობსო; ამ ხანად იგი ელაპარაკებათ მამა-გამგებელს. მამა-კიპრიანეს გაუკვირდა ეს ამბავი და გაოცებით შეხედა მწირს. თითი ისევ სტრიქონიდამ არ მოუშორებია, რომ ჰკითხოვა, რა ჰსთქვი, განმიმეორეო. მწირმა ხელახლად უამბო. მაშინღა წამოდგა კიპრიანე თავის ადგილიდამ; შავ-გვრემანი სახე გაუფითრდა, როცა შევიდა სტუმართ-მისაღებს სენაკში, სადაც დახვდა მამა-გამგებელი და მის წინ ყმაწვილი კაცი მეომარის თვალ-ტანადობითა და თუმცა მტვრიანი და გალაფიანებული ტანისამოსი ეცვა, მაგრამ მაინც მშვენიერი და მოხდენილი სანახაობა ჰქონდა. ნელის სიარულით შედგა ფეხი ოთახში მამა-კიპრიანემ. უცნობმა დაინახა თუ არა, ხელში ჭერილი ქუდი გავარდა ხელიდამ და გადასახვევად ხელებ გაშლილი მივარდა მამა-კიპრიანეს.

— ფრანცისკო! შეჰყვირა მან.

— ლიუდოვიკ! ჩემო ძმავ! წამოიძახა კიპრიანემ.

(შემდეგი იქნება.)

---

## სხვა და სხვა ამბავი.

**—როგორ უნდა შეინახოს დიდხანს თევზი.**—საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიაში ვიღაც ამელიომ წარუდგინა თავისი აღმოჩინება მასზედ, თუ როგორ უნდა ინახებოდეს თევზის ხორცი, რომ რამდენსამე წელიწადს არ წახდეს. აი ამისათვის რა უბრალო წამალი უპოვია. მოუხარშავი ანუ მოხარშული თევზი უნდა ჩაიდოს გეჯაში წმინდა წყალით ავსებულში და ზედ დაემატოს კარგა ბლომად ლიმონის სიმჟავე (Лимонная кислота) ორისა თუ სამის საათის შემდეგ თევზი უნდა ამოიღონ და გააშრონ ანუ ჰაერზედ ანუ საშრობელზედ სადმე. ამ გვარად მომზადებული თევზი რამდენსამე თურმე წელს შეინახება. რომ ისევ თვისი სილბილე დაუბრუნდეს თევზს სამყოფის კაცმა ორისა ანუ სამის დღით თევზი ცივ და წმინდა წყალში დაალბოს.

**—ახალი აღმოჩინება ფოტოგრაფიისათვის.**—მიუნხენში სასახლის ფოტოგრაფმა იოსებ ალბერტმა იმისთანა რამ მოიგონა, რომ რასაც გადიღებს, მას თვის ბუნებრივს ფერსაც გადაჰსცემს ხოლმე. თუმცა ეს აღმოჩინება ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი, მაგრამ ამბობენ, რომ ჰსცადესო და ფოტოგრაფიით სურათებად გადაღებულებს საგანთა თვისი ბუნებრივი ფერი ჰქონდათო.

**— საოცარი თოფის მსროლელი.**—პარიჟის თეატრში, რომელსაც Folies Bergére-ს ეძახიან გამოჩენილა ერთი თოფის მსროლელი, რომელიც ისეთის სისწორით ესვრის ნიშანს, რომ მაგაზედ უკეთესად სროლა კაცთათვის შეუძლებელია. იგი თურმე ზურგს შეაქცევს თავის ცოლს და ისე პირ-უკუღმა ესვრის თოფს და ცოლის თავზედ დასმულს ვაშლს გადმოაგდებს ხოლმე. საფრანგეთში ამისთანა სისწორით სროლა ისე არ უკვირთ თურმე როგორც გამბედაობა ცოლისა, რომელიც ძალიან დარწმუნებული უნდა იყოს ქმრის სიმარჯვეზედ. ამბობენ იმ თოფს პატარა სარკე აქვსო და იმ სარკის შემწეობით ამოიღებს ხოლმე ნიშანსაო.

**— ამერიკანული სისწრაფე.**—ქალაქს ბრუკლინში, რომელიც ნაწილია ნიუ-იორკისა, საჭიროდ დაინახეს რკინის გზის გამართვა ქალაქის ორთა შორეულ ადგილთა შორის. საქმე დიდი არაფერი იყო, რადგანაც ამერიკანელებს დიდი ხანია სასწაულად აღარ მიაჩნიათ ქალაქში რკინის გზის გატარება. ხოლო ამ საქმეს მოულოდნელად მძიმე დაბრკოლება შეემთხვა. იქ ერთი უზარმაზარი ქუჩაა Atlantiq Avenue, რომელზედაც უნდა რკინის გზა გაეტარებინათ. ამ ქუჩაზედ სახლების მეპატრონეთა წინააღმდეგობა გამოიჩინეს და ჰსთქვეს თუ აქ გზას გაატარებთო, გიჩივლებთო. ამის გამო რკინის გზის საქმე ბეწვზედ ეკიდა და მხოლოდ სისწრაფეს შეეძლო ეშველა რამე. შაბათს სწორედ შუაღამისას დაიწყეს მუშაობა და ორშაბათს გათენებისას რკინის გზა გაყვანილი და მორჩომილი იყო 6,500 მეტრის მანძილზედ. მოწინააღმდეგეთ ვერ მოასწრეს საჩივარის შეტანა, რადგანაც მთელი ეს საოცარი საქმე 23 საათის განმავლობაში დაიწყო და შესრულდა და ამ 23 საათში სასამართლოებისათვის უქმე იყო.

**— აი კიდევ სწორედ ამერიკანული სისწრაფე.**—ეს რკინის გზა ხომ თითქმის თვალის დახამხამების უმალეს გააკეთეს, აი ერთი მაგალითიც სისწრაფისა, თუმცა სხვა გვარი კია. ფოშტის კარეტიდამ, რომელიც ერთს ქალაქში მიდიოდა, დაიკარგა 3,000 დოლლარი. ეს მოხდა

დილის ხუთს საათზედ. შვიდს საათზედ ჯილდო დაუ-ნიშნეს ვინც კი იპოვის ქურდებსა, თორმეტს საათზედ ქურდები იპოვნეს; ორს საათზედ შუადღის შემდეგ და-კარგული ფული სრულად დაუბრუნეს პატრონს, საღა-მოს ხუთს საათზედ ქურდებს საქმე გადუწყვიტეს და დახვრიტეს; ექვს საათზედ კიდევ დაასაფლავეს და საფლა-ვის მიწა გადუტკეპნეს.

— უცნაური ხე.—ამერიკის გაზეთში „Panama Star and Herold" მოყვანილია ერთის კონსულის წე-რილი კოლუმბიიდამ (პერუ), რომელშიაც ღირს საცნო-ბი ამბავი ჰსწერია. ქალაქს მოიობამბს გარს ახვევია ტყეე-ბი. ამ ტყეებში ერთი ხეა, რომელსაც იქაურები „წვი-მის ხეს" ეძახიან და სწორედ საოცარი თვისება აქვს ამ ხეს. როცა ხე შემთავრებულია, სიმაღლე აქვს 18 მეტრი და გულის სიგანე ძირთან ერთი მეტრი. რაც სინესტე ხოლმე ჰაერში ეს ხე საოცარის ძალით შეისვავს ასე რომ ქერქზედ წყალი ჩამოჰსდის და ტოტებიდამ წვიმასავით მოდის. იმოდენა წყალი დაჰსდის ამ ხეს, რომ მის გარ-შემო გუბე დგება. მაგრამ ყველაზედ საოცარი ის არის. რომ ამ ხის თვისება მაშინ უფრო ძლიერად მოქმედებს, როცა ზაფხულია და როცა გოლვის გამო წყალი იშვია-თია და თვით მდინარენიც დაშრებიან ხოლმე. თუ კაცმა ამას ყური ათხოვა, შეიძლება ამ ხემ აუარებელი სარგებ-ლობა მოუტანოს იმ ადგილებს, საცა უწყლოობაა.

— რამდენი სული ერთის მილლიონის ბავშვებთა-გან მიაღწევენ ხოლმე სიბერემდი.—ამაზედ ინგლისში გამოკვლევა იყო და აი რა ღირს საცნობი შედეგია ამ გამოკ-ვლევისა. ერთ მილლიონ ბავშვთაგან ინგლისში პირველ ხუთს წელიწადს იხოცება ერთ მეოთხედამდე, ესე იგი, 260,000. ამათ შორის 80,000 ტვინისა და ფილტვის სნეულები-საგან; 22,000 მუცლისა და სისხასაგან, 17,000 ქუნ-რუშისაგან, 14,000 —ფარდასხტისაგან და 11,000 წი-თელისაგან. ათის წლიდამ ხუთმეტამდე ნაკლებ იხოცებიან. ხოლო ხუთმეტიდამ ოცდახუთამდე სიჭლექეს მრავალი მსხვერპლი მიაქვს, უფრო ახალგაზრდა ქალები. სიგიჟე და თავის-კვლა ამ ხანში დაიწყებს ხოლმე მოქმედებას. ორმოცდა ხუთს წლამდე ის თავდაპირველი მილლიონი განახევრდება ხოლმე და დანამთენ ოცდახუთს წელიწადს მილლიონიდამ 309,000-ღა რჩება და სამოცდა ხუთმეტ წლამდე ერთის მილიონიდამ სულ 147,905 კაცია მიაღწევს ხოლმე.

## მეორე ტირაჟში

24-ს ნოემბერს 1877 წ. ამოვიდნენ შემდეგნი გი-რავნობის ფურცლები მიხაილის თავად-აზნაურთა სა-ადგილ-მამულო ბანკისა.

მეორე სერიისა

$43^1/_2$ წლის ვადისანი

ასი მან. ღირსებისა № 26.

$18^7/_{12}$ წლის ვადისანი

ასი მან. ღირსებისა №№ 46, 56, 86 და 156.
ხუთასი ,, ,, ,, 46.
ათასი ,, ,, ,, 56.

მესამე სერიისა

$43^1/_2$ წლის ვადისანი

ასი მან. ღირსებისა № 26.

$18^7/_{12}$ წლის ვადისანი

ასი მან. ღირსებისა №№ 6, 16, 26, და 28.

ტირაჟში გამოსულის ფურცლების და კუპონების ფული მიიღება ბანკში და ვისკვენის და კამპანიის კან-ტორაში პეტერბურღს.

---


## გ ა მ გ ე ო ბ ა

მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბან-კისა ამით აცხადებს, რომ § 17 ამა ბანკის წესდების ძალით გამგეობაში გაიყიდება საზოგადო ვაჭრობით ქუ-თაისში მდებარე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ადგილით, რომელიც ეკუთვნის კოლლეჟსკი ასესორს ბესარიონ ანდრიას ძეს ხელთუპლიშვილს.

# ОБЪ ИЗДАНІИ
## ВЪ 1878 ГОДУ ВЪ БАКУ
### ГАЗЕТЫ
## БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ
### ГОДЪ ТРЕТІЙ

Цѣна газеты на годъ въ Баку съ доставкой 5 р. на полгода—3 р., на три мѣсяца 1 р. 75 к., въ мѣсяцъ 75 к. Съ пересылкой во всѣ города имперіи на годъ 6 р., на полгода 3 р. 50 к., на три мѣсяца 2 р., на мѣсяцъ 90 к.

Подписка принимается въ Баку, въ домѣ Дадашева, на Милютинской улицѣ, близъ гостинницы «Кавказъ» и въ Бакинскомъ Обществѣ Взаимнаго Кредита.

Иногородные адресуютъ свои требованія исключительно: въ Баку, въ редакцію Бакинскихъ Извѣстій. Редакторъ С. О. Гулишамбаровъ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.